საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-644

10/05/2021

ქ. თბილისი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მშრალი და ნაყარი ტვირთების (2017 წლის 27 ოქტომბრის N77 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ტერმინალის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 თებერვლის N2-193 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 თებერვლის N2-193 ბრძანებით გაიცა „ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მშრალი და ნაყარი ტვირთების (2017 წლის 27 ოქტომბრის N77 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ტერმინალის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N18 (11.02.2019).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მშრალი და ნაყარი ტვირთების (2017 წლის 27 ოქტომბრის N77 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ტერმინალის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 თებერვლის N2-193 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი